



# საქართველო

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

13 აგვისტო 2012 წელი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №152

#### პაატა ბურჭულაძის და გელა ჩაველეშვილის პრემიების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 9 დეკემბრის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ №49 დადგენილების შესაბამისად:

### ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

**მუხლი 1.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობის შედეგებში შეტანილი თითოეული საჯარო მოსამსახურის პირადი წვლილისა და საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროს – პაატა ბურჭულაძეს და საკრებულოს აპარატის მთავარ სპეციალისტს საფინანსო საბიუჯეტო საკითხებში გელა ჩაველეშვილს მიეცეთ პრემია ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

**მუხლი 2.** ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.

**მუხლი 3.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ. №14)

**მუხლი 4.** ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი